

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N41(48), 1999 წელი, მუხ. 209) დაემატოს შემდეგი შინაარსის 192¹ მუხლი:

"მუხლი 192¹. უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობა

1. საგანმანათლებლო საქმიანობა ავტორიზაციის გარეშე, ანდა ავტორიზაციის პირობების დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

შენიშვნა:

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, ავტორიზაციის გაუქმებით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი